

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის
წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში**

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	8
5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....	9
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
7. მოგება სავალუტო ოპერაციებიდან.....	9
8. ძირითადი საშუალებები.....	10
9. საინვესტიციო ქონება	11
10. არამატერიალური აქტივები.....	12
11. ფული და ფულის ექვივალენტები	12
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
13. მარაგები	13
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	13
15. საგადასახადო ვალდებულებები	13

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში
 მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019 (არააუდიტირებული)	2018 (არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,860,097	7,440,167
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(16,743,672)	(17,528,661)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	7	(676,320)	234,845
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი		792,960	160,032
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(8,766,935)	(8,766,935)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(8,766,935)	(9,693,617)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 22 სექტემბერს:


 მასივ მამუდოვი
 დირექტორი



აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2019	2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	5	7,860,097	7,440,167
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(16,743,672)	(17,528,661)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	7	(676,320)	234,845
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი		792,960	160,032
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(8,766,935)	(8,766,935)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(8,766,935)	(9,693,617)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 22 სექტემბერს:

მაჰირ მამმედოვი
დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	3,977,646	4,591,902	6,621,726
საინვესტიციო ქონება	9	70,111,688	73,564,051	77,025,900
არამატერიალური აქტივები	10	100,794	225,468	353,518
სულ გრძელვადიანი აქტივები		74,190,128	78,381,421	84,001,144
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	11	89,745	141,796	2,940,110
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,317,525	7,841,168	10,514,000
მარაგები	13	119,826	95,038	40,000
წინასწარ გაწეული ხარჯები		112,435	167,073	106,590
სულ მიმდინარე აქტივები		1,639,531	8,245,075	13,600,700
სულ აქტივები		75,829,659	86,626,496	97,601,844
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
დაუფარავი ზარალი		(121,463,684)	(112,696,749)	(103,003,132)
სხვა რეზერვები და დაფინანსება		192,890,916	191,497,116	190,035,316
სულ კაპიტალი		71,427,232	78,800,367	87,032,184
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	3,685,426	7,276,107	10,162,137
საგადასახადო ვალდებულებები	15	717,001	550,022	407,523
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,402,427	7,826,129	10,569,660
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		75,829,659	86,626,496	97,601,844

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	სხვა რეზერვები და დაფინანსება	გაუნაწილებელი მოგება	ჯამი
1 იანვარი 2018	-	190,035,316	(103,003,132)	87,032,184
წლის სრული ზარალი	-	-	(9,693,617)	(9,693,617)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	1,461,800	-	1,461,800
31 დეკემბერი 2018	-	191,497,116	(112,696,749)	78,800,367
წლის სრული ზარალი	-	-	(8,766,935)	(8,766,935)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	1,393,800	-	1,393,800
31 დეკემბერი 2019	-	192,890,916	(121,463,684)	71,427,232

5-13 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში (შემდგომში „კომპანია“) არის უცხოური საწარმოს ფილიალი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. იგი დაარსდა 2006 წლის 13 ნოემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202358625.

ძირითადი საქმიანობა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარ მფლობელობაში არსებული შენობის საკუთარ დედა კომპანიაზე იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, 300 არაგველის ქ., №24

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე, როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს “აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია” ფლობს.

ინვესტიციები: კომპანია მიმდინარე საანგარიშგებო წლის განმავლობაში არ ფლობდა ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2019 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამონაკლისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

სასარგებლო მომსახურების	
ჯგუფი	ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
კომპიუტერული ტექნიკა	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	2019	2018
რეალიზაცია 18%-იანი დღგ-ით	7,860,097	7,433,150
რეალიზაცია 0%-იანი დღგ-ით	-	7,017
ჯამი	7,860,097	7,440,167

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,021,766)	(5,700,546)
სტუდენტების დაფინანსების ხარჯი	(3,280,384)	(3,574,572)
მომსახურებების ხარჯი	(1,450,735)	(820,089)
შრომის ანაზღაურება	(1,153,304)	(1,116,342)
კომუნალურის ხარჯი	(902,401)	(912,074)
დასუფთავების ხარჯები	(804,116)	(1,440,454)
დაცვის ხარჯები	(771,610)	(450,949)
საიჯარო ქირა	(737,267)	(737,468)
საგადასახადო ხარჯი	(840,546)	(965,861)
კომუნიკაციის ხარჯები	(151,500)	(131,170)
რემონტის ხარჯები	(30,538)	(14,424)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(30,281)	-
საკანცელარიო ხარჯები	(26,721)	(26,801)
ბანკის საკომისიო	(1,625)	(5,221)
მივლინების ხარჯები	(394)	(285)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,540,483)	(1,632,405)
ჯამი	(16,743,672)	(17,528,661)

7. მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

	2019	2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	664,391	193,415
მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	19,155	48,923
ფული და ფულის ექვივალენტები	(7,226)	(7,493)
ჯამი	676,320	234,845

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის წარმომადგენლობა (ფილიალი) საქართველოში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	საოფისე და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სისტემები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2018	2,306,102	2,108,160	6,424,761	5,349,400	510,579	16,699,002
შემოსვლა	23,525	14,319	-	36,243	-	74,087
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	2,329,627	2,122,479	6,424,761	5,385,643	510,579	16,773,089
შემოსვლა	5,768,790	-	6,773,276	3,884,300	-	16,426,366
გასვლა	-	-	(4,405)	-	-	(4,405)
31 დეკემბერი 2019	5,768,790	-	6,768,871	3,884,300	510,579	16,932,540
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2018	(1,304,790)	(1,052,917)	(2,808,324)	(4,420,457)	(490,788)	(10,077,276)
ცვეთის ხარჯი	(255,252)	(423,503)	(628,825)	(776,540)	(19,791)	(2,103,911)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(1,560,042)	(1,476,420)	(3,437,149)	(5,196,997)	(510,579)	(12,181,187)
ცვეთის ხარჯი	(4,181,992)	-	(4,476,516)	(3,785,807)	(510,579)	(12,954,894)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(4,181,992)	-	(4,476,516)	(3,785,807)	(510,579)	(12,954,894)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2018	1,001,312	1,055,243	3,616,437	928,943	19,791	6,621,726
31 დეკემბერი 2018	769,585	646,059	2,987,612	188,646	-	4,591,902
31 დეკემბერი 2019	1,586,798	-	2,292,355	98,493	-	3,977,646

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სულ საინვესტიციო ქონება
1 იანვარი 2018	8,196,883	86,546,188	94,743,071
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2018	8,196,883	86,546,188	94,743,071
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2019	8,196,883	86,546,188	94,743,071
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2018	-	(17,717,171)	(17,717,171)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(3,461,849)	(3,461,849)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	(21,179,020)	(21,179,020)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(3,452,363)	(78,848,876)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	83,035,677
31 დეკემბერი 2019	-	(24,631,383)	(24,631,383)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2018	8,196,883	68,829,017	77,025,900
31 დეკემბერი 2018	8,196,883	65,367,168	73,564,051
31 დეკემბერი 2019	8,196,883	61,914,805	70,111,688

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ არამატერიალური აქტივები
1 იანვარი 2018	575,574	287,460	37,222	900,256
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	6,737	-	6,737
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	575,574	294,197	37,222	906,993
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	575,574	294,197	37,222	906,993
დაგროვილი ცვეთა				
1 იანვარი 2018	(320,325)	(198,575)	(27,838)	(546,738)
ცვეთა წლის განმავლობაში	(86,335)	(42,911)	(5,541)	(134,787)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	(406,660)	(241,486)	(33,379)	(681,525)
ცვეთა წლის განმავლობაში	(86,257)	(34,842)	(3,575)	(124,674)
გასვლა წლის განმავლობაში	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(492,917)	(276,328)	(36,954)	(806,199)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2018	255,249	88,885	9,384	353,518
31 დეკემბერი 2018	168,914	52,711	3,843	225,468
31 დეკემბერი 2019	82,657	17,869	268	100,794

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	89,691	57,022	61,784
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	54	84,774	2,878,326
	89,745	141,796	2,940,110

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	1,121,895	1,646,595	2,064,828
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	45,681	36,379	2,527,746
მოკლევადიანი ავანსები	149,949	6,158,194	5,921,426
	1,317,525	7,841,168	10,514,000

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნედლეული და მასალები	62,006	55,921	15,503
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	37,205	23,897	17,222
საქონელი	17,471	12,076	7,275
მცირეფასიანი ინვენტარი	3,144	3,144	-
	119,826	95,038	40,000

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო ვალდებულებები	3,274,686	6,843,392	9,776,042
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	376,519	376,519	386,095
გადასახდელი ხელფასები	34,221	51,139	-
მიღებული ავანსები	-	5,057	-
	3,685,426	7,276,107	10,162,137

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდის განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და აღიარდება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად